



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

2017 წლის 17 თებერვალი

ქ. მცხეთა

„2017 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის №214 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის 1-ლი, მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-3¹ მუხლის მე-4 პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 15 თებერვლის №08/1/2324 მომართვის საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „2017 წელს მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ნოემბრის №214 განკარგულების დანართში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთის სასამართლოს ქ №17.


საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი

2017 წელს დაგეგმილი პროექტები

| N | პროექტები | თანხა (ათ.ლარი) | შენიშვნა |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------|--------------------|----------|
| 1 | სოფელ სასხორში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა | 79.0 | |
| 2 | სოფელ ვაზიანში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 135.0 | |
| 3 | სოფლების: გალავანი – წინამძღვრიანთკარი – ბიწმენდი-ჯილაურას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია | 340.0 | |
| 4 | სოფელ ზემო ნიჩბისში შიდა გზების რეაბილიტაცია | 560.0 | |
| 5 | სოფლების: წეროვანი – ჩარდახის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია | 250.0 | |
| 6 | სოფელ მუხრანის შიდა გზების რეაბილიტაცია | 435.0 | |
| 7 | სოფელ ძველი ქანდას შიდა გზების რეაბილიტაცია | 225.0 | |
| 8 | სოფელ ნატახტარში საბავშვო ბაღის მშენებლობა | 897.0 | |
| 9 | სოფელ ლისში არსებულ საბავშვო ბაღზე მიშენება | 79.0 | |
| 10 | სოფელ ლისში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის II ეტაპი | 62.0 | |
| 11 | სოფელ წეროვანში მინი სტადიონის მოწყობა | 60.0 | |
| 12 | სოფელ ძეგვში (კორპუსებთან) მინი სტადიონის მოწყობა | 60.0 | |
| 13 | სოფელ ქსანში მინი სტადიონის მოწყობა | 60.0 | |
| 14 | სოფელ ვაზიანში მინი სტადიონის მოწყობა | 60.0 | |
| 15 | სოფელ საგურამოს სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | 100.0 | |
| 16 | სოფელ მუხრანში სასმელი წყლის რეაბილიტაცია | 250.0 | |
| 17 | სოფელ ბიწმენდში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 150.0 | |
| 18 | სოფელ წოდორეთში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 140.0 | |



| | | | |
|----|-----------------------------------------------------------------------------------|-----------------|--|
| 19 | ნაპირსამაგრების მოწყობა: ნავდარაანთკარში, ჯილაურასა და ერედაში | 150.0 | |
| 20 | სოფელ წეროვნის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასახლებაში ასფალტიანი გზის მოწყობა | 140.4 | |
| 21 | მისაქციელი - ახალუბნის გზის ორმოული მოასფალტება | 150.0 | |
| 22 | სოფელ წეროვანში (ქვემო წეროვანი) გზის მოწესრიგება - მოასფალტება | 200.0 | |
| 23 | სოფელ საგურამოში საბავშვო ბაღზე მიშენება | 226.8 | |
| | სულ | 4809.209 | |

